

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის

ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **9 066,7** ათ.ლარით.

2016 წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 14 ცვლილება:

I. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი დაზუსტდა 2015 წლიდან გარდამავალი ნაშთებით:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 1109824,31 ლარი. მათ შორის:

თავისუფალი ნაშთი - 518 500 ლარი;

საქართველოს მთავრობის #2195 განკარგულება (სტიქია) – 6878,92 ლარი;

საქართველოს მთავრობის #1381 განკარგულება (სტიქია) – 192897,91 ლარი;

საქართველოს მთავრობის #2529 (სტიქია)განკარგულება – 78681,82 ლარი;

საქართველოს მთავრობის #506 განკარგულება – 11717,52 ლარი;

საქართველოს მთავრობის #39 განკარგულება – 270848,14 ლარი;

საქართველოს მთავრობის #866 განკარგულება (სტიქია) – 17 300 ლარი;

საქართველოს მთავრობის #34 განკარგულება 13.01.2014 წელი (რეგიონალური პროექტები) – 13000 ლარი;

ასევე გაიზარდა შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **21 800** ლარით; კერძოდ:

- შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან - **21 800** ლარით;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 2016 წლის 22 იანვრის მდგომარეობით განისაზღვრა **10 198,3** ათ. ლარით.

II. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 თებერვლის N 3 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 15,4 ათ. ლარით, მათ შორის:

გაიზარდა შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **15 400** ლარით;
კერძოდ:

შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან - **15 400** ლარით;

შესაბამისად გაიზარდა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „თანამდებობრივი სარგო“ – **15 400** ლარით;

დაზუსტების შემდეგ ბიუჯეტის მოცულობამ 4 თებერვლის მდგომარეობით შეადგინა **10213,7** ათ. ლარი.

III. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 10 თებერვლის N4 დადგენილებით ბიუჯეტის გაიზარდა 4 166 143 ლარით:

გაიზარდა შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **4 166 143** ლარით

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **4 166 143** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **4 166 143** ლარი;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 10 თებერვლის მდგომარეობით განისაზღვრა **14 379,9** ათ. ლარით.

IV. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 02 მარტის N7 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 1 404 547 ლარით. მათ შორის :

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **1 404 547** ლარით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის #265 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **1 404 547** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **1 404 547** ლარი;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 02 მარტის მდგომარეობით განისაზღვრა **15 784,4** ათ. ლარით.

V. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 04 აპრილის N9 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა არ გაზრდილა. მოხდა საბიუჯეტო მუხლებს შორის თანხების გადანაწილება.

VI. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 01 ივნისის N13 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა **1 107 771,23** ლარით. მათ შორის :

გაიზარდა შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **1 170 036** ლარით

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 მაისის #823 განკარგულებით „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **1 170 036** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **1 170 036** ლარი;

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში გრანტები **30 913,23** ლარით ევროკავშირის პროექტის „ მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“ ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **30 913,23** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად - **30 913,23** ლარი;

შემცირდეს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **93 178** ლარით

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის #803 განკარგულებით შევიდეს ცვლილება,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175

განკარგულებაში. შემცირდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი **93 178** ლარით. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა - **93 178** ლარი;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 01 ივნისის მდგომარეობით განისაზღვრა **16 892,2** ათ. ლარით.

VII. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 07 ივლისის N14 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა შემცირდა 320 455 ლარით. მათ შორის :

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისი #980 განკარგულებით შევიდეს ცვლილება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებაში. შემცირდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი **320 455** ლარით. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა - **320 455** ლარი;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 07 ივლისის მდგომარეობით განისაზღვრა **16 571,7** ათ. ლარით.

VIII. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივლისის N17 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 381 334 ლარით. მათ შორის :

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **190 000** ლარით

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის #1247 განკარგულებით შევიდა ცვლილება „ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებაში. კერძოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი გაიზარდა **190 000** ლარით. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **190 000** ლარი;

2. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **129 534** ლარით

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის #1340 განკარგულებით 2015-2016 წლებში მომხდარი სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „ საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოუყო **129 534** ლარი. მათ შორის:

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად - 129 534 ლარი;
3. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უფლება მისცა (წერილი #01/2179, 08/07/2016) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს წინა წლებში გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი თავისუფალი ფულადი რესურსი მიმართოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად. კერძოდ:

1. 13/01/2014 წ. #34 განკარგულების ფარგლებში - 61 100 ლარი;
 2. 20/03/2014 წ. #471 განკარგულების ფარგლებში - 300 ლარი;
 3. 02/08/2013 წ. #1016 განკარგულების ფარგლებში - 400 ლარი;
- სულ: 61800 ლარი

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად - 61 800 ლარი;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 15 ივლისის მდგომარეობით განისაზღვრა **16 953,1** ათ. ლარით.

IX. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 აგვისტოს N19 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 838 000 ლარით. მათ შორის :

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **838 000** ლარით:

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **838 000** ლარით

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის #1409 განკარგულებით 2016 წელს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „ საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოუყო 838 000 ლარი. მათ შორის:

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად - 838 000 ლარი;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 03 აგვისტოს მდგომარეობით განისაზღვრა 17 791,1 ათ. ლარით.

X. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 სექტემბრის N20 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 205 000 ლარით. მათ შორის :

1. გაიზარდა შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები 205 000 ლარით;

კერძოდ:

- შემოსავალი სანქციებიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 205 000 ლარით;

შესაბამისად გაიზარდა:

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 03 07-2.8.2.2.) – 205 000 ლარით;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 23 სექტემბრის მდგომარეობით განისაზღვრა 17 996,1 ათ. ლარით.

XI. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 02 ნოემბრის N22 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 391 400 ლარით. მათ შორის :

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში 391 400 ლარით:

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები 580 300 ლარით;

კერძოდ:

- შემოსავალი არაფინანსური აქტივების კლებიდან (მიწა) - **540 300** ლარით;
- შემოსავალი არაფინანსური აქტივების კლებიდან (ძირითადი აქტივების რეალიზაცია) - **40 000** ლარით;

შემცირდეს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **188 900** ლარით:

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის #1530 განკარგულებით შევიდა ცვლილება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებაში. შემცირდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი 188 900 ლარით. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა - 188 900 ლარი;

შესაბამისად შემცირდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:

- ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზები (ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 – 61.1.1.5) – **188 900** ლარით;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 02 ნოემბრის მდგომარეობით განისაზღვრა **18 387,5** ათ. ლარით.

XII. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 08 დეკემბრის N24 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 281 200 ლარით. მათ შორის :

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **281 200** ლარით:

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **281 200** ლარით;

კერძოდ:

- ქონების გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) (ორგანიზაციული კოდი 113111) – **281 200** ლარით;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 08 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა **18 668,7** ათ. ლარით.

XIII. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 დეკემბრის N25 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 269 500 ლარით. მათ შორის :

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **269 500** ლარით:

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **269 500** ლარით;

კერძოდ:

- ჯარიმები, სანქციები და საურავები (ორგანიზაციული კოდი 143) – **213 500** ლარით;
- არაფინანსური აქტივების კლება, არაწარმოებული აქტივები, მიწა (ორგანიზაციული კოდი 3141) – **56 000** ლარით;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 12 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა **18 938,2** ათ. ლარით.

XIV. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის N27 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 225 150 ლარით. მათ შორის :

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **225 150** ლარით:

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **25 150** ლარით;

კერძოდ:

- არაფინანსური აქტივების კლება, არაწარმოებული აქტივები, მიწა (ორგანიზაციული კოდი 3141) – **25 150** ლარით;

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **200 000** ლარით:

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის #2501 განკარგულებით შევიდა ცვლილება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებაში. გაიზარდოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი **200 000** ლარით. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა - **200 000** ლარი;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 23 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა **19 163,3** ათ. ლარით.

2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2016 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **19 163,3** ათ.ლარით:

- 1) გადასახადები - 2 269,3 ათ.ლარი
- 2) ტრანსფერი - 13 184,2 ათ.ლარი
- 3) სხვა შემოსავლები - 1 436,7 ათ.ლარი
- 4) არაფინანსური აქტივების კლება - 1 101,5 ათ.ლარი
- 5) შემოსავალი ნაშთიდან - 1 171,7 ათ.ლარი.

იხ.დანართი #1

შემოსულობები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 2015 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა **19 042,4** ათ. ლარი, წლიური გეგმის **105,84 %-ი** (წლიური დაზუსტებული გეგმა 17991,7 ათ.ლარი, (იხ.დანართი #2)

შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია **126,88 %-ით** (გეგმა 3706,0 ათ.ლარი, შესრულება 4702,3 ათ.ლარი), მათ შორის:

- ქონების გასახადის გეგმა 145,28 %-ით (წლიური გეგმა 1714,3 ათ.ლარი შესრულება 2490,5 ათ.ლარი)
- საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკური პირებიდან გეგმა შესრულებულია 115,24 %-ით. (წლიური გეგმა 555,0 ათ. ლარი შესრულება 639,6 ათ. ლარი);
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 109,66 %-ით (წლიური გეგმა 180,0 ათ.ლარი, შესრულება 197,4 ათ.ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 186,33 %-ით(წლიური გეგმა 30,0 ათ.ლარი, შესრულება 55,9 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 16,16 %-ით (გეგმა 120,0 ათ.ლარი, შესრულება 43,4 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 84 %-ით (გეგმა 30,0 ათ.ლარი შესრულება 25,2 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 106,58 %-ით (წლიური გეგმა 1005,7 ათ.ლარი,შესრულება 1071,9 ათ.ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 109,88 %-ით (წლიური გეგმა 1101,5 ათ.ლარი,შესრულება 1210,4 ათ.ლარი);

2016 წლის განმავლობაში მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 13 129,7 ათ.ლარი, მათ შორის:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი – 5 483,6 ათ.ლარი ;
- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 174 ათ.ლარი ;
- გ) ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 7 441,2 ათ.ლარი;
- დ) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი - 30,9 ათ.ლარი.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი (ხ ა რ ჯ ე ბ ი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს 19 163,3 ათ.ლარს (იხ.დანართი №3). ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2016 წლის მდგომარეობით შეადგინა 16981,9 ათ. ლარი წლიური გეგმის 88,61 %, მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 3500,7 ათ.ლარი წლიური გეგმის 95,36 %;
- ქვეყნის დავდაცვისუნარიანობის ამაღლების დაფინანსებამ შეადგინა 163,0 ათ.ლარი წლიური გეგმის 91,1 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 9704,8 ათ.ლარი, წლიური გეგმის 84,63 % ;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 1947,1 ათ.ლარი, წლიური გეგმის 96,41 %;
- სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 956,9 ათ.ლარი, წლიური გეგმის 88,78 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 709,4 ათ.ლარი, წლიური გეგმის 94,71 %;

2016 წელს მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 247,6 ათ.ლარი (დანართი #4)

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური
უფროსი:

/გ.მამაკაიშვილი/